ცნობის ფურცელი

№ 1811 პარასკევი, 17 მაისი 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 1811

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ბანკის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372

გაზეთ „ცნობის ფურცელის“ ცალკე ნომერი ღირს ყველა გამყიდველებთან 3 კაპ., სურათებიანი დამატებით 5 კაპ.

25 მაისს ქალ. ოზურგეთში, ქალაქის საკრებულო ტაძარში

თავად გიორგი სვიმონის ძის წულუკიძის

მიცვალებიდან ორმოცი დღის შესრულების გამო გარდახდილ იქნება საორმოცო წირვა და პანაშვიდი.

(3—2)

დავით პაატას-ძე მაჭავარიანი ძმებით, დებით და სიძით უღრმეს მადლობას უძღვნის ყველა იმათ, ვინც მონაწილეობა მიიღო მათ მწუხარებაში და ანუგეშა საყვარელი დედის, პელაგია დავითის ასულის მაჭავარიანის, გადაცვალების გამო.

ტფილისის
კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

კ. ი. ჩიჩინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა 9—10 საათამდე. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ე. გ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშო 9—10 საათამდე.

გ. ბ. მალალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი 10—11 საათამდე. სამშაბათობით და ხუთშაბათობით 1—2 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 10—11 საათამდე.

ძ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

ა. გ. ბარსუქოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 12—1 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 საათ.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ხტ. ალ. ვოინო—ქირურგია ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით. 1—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. ბ. მალალაშვილი—შინაგანი ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

გ. მალალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.- **ტელეფონი № 274.** (წლ.)

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მალალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე. მიიღებს აგრეთვე საქმეს: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი.

ქუთაისის საქალაქო გამგეობა

ამით უცხადებს ხმოსნების ამომრჩევლებს, რომ ხმოსანთა არჩევნები 1902—1906 წ.წ. დანიშნულია 1902 წლის 9 ივნისისათვის.

(ნ. 3—3).

მაისის დამლევს დაიწყება

არტისტიული მოგზაურობა

ტფილისის ქართულის დრამატიულის დასისა

ვალერიან გუნიას ლოტბარობით.

მსახიობნი: ქ.ქ. გაბუნია-ცაგარლისა, კარგარეთელი, გივიშვილი; ბ.ბ. გუნია, სვიმონიძე, შათირიშვილი, იმედაშვილი, ივანიძე, ბეგლარიძე, ყალამბეგაშვილი და სხვ.

დრო-გამოშვებით მოწვეული იქნება

ვლ. ალექსი მესხიშვილი.

დასი თითო ან ორ წარმოდგენას გამართავს შემდეგ ადგილებში: ქუთაისში, ხონში, ბათუმში, ფოთში, სოხუმში, ოზურგეთში, ახალსენაკში, სამტრედიაში, ყვირილაში, ჭიათურაში, დუშეთში, კაჯკავში, ბაქოში, განჯაში, ყარსში და ალექსანდრეპოლში.

ადგილების ფასი ყველასთვის ხელმისაწდომი იქნება, რეპერტუარი ახალი და მოწონებული წრევანდელ სეზონში. პირველი წარმოდგენა დაიწყება ქუთაისიდან.

რეჟისორი და გამგებელი ვალ. გუნია.

საგანგებო კრება

ამა მაისის ცხრამეტს (19), კვირა, დილით ათ საათზე

ქალაქ ოზურგეთში

ამხანაგობის კონტორაში, დანიშნულია

ბურიის ამხანაგობა

„შუამავლის“

წევრთა საგანგებო საზოგადო კრება.

კრების განსახილველი საგნები არის: 1) გამორიცხვა ამხანაგობის მავნე წევრთა; 2) განხილვა და სრულიად გაუქმება 19 აპრილს და 12 მაისს **დ. ლანჩხუთში** არა ჩვეულებრივი კრების გადაწყვეტილებისა, რადგანაც ის შემდგარია წინაამდეგ 14, 28 და 29 §§ 18 მარტს 1898 წლისა ნოტარიუსის დამტკიცებულის ჩვენ ხელ-შეკრულებისა; 3) განხილვა იმ კითხვებისა, რაც 19 აპრილისთვის დანიშნული იყო 4) საშუალების გამოძებნა ამხანაგობის ამ წლის ნაწარმოებისათვის (განცალკევებით ოზურგეთში და ლანჩხუთში); 5) მიიღება ახალ წევრთა და იმ წევრებისა, რომლებმაც წილი სხვისგან შეიძინეს.

ამხანაგობის მმართველი **ს. ქეიშვილი**

შენიშვნა: უკეთუ დანიშნულ დროს კრება არ შესდგა, განმეორებითი დაინიშნება კვირას, 26 მაისს; განიხილავს მხოლოდ იმ საგნებს, რაც პირველი კრებისათვის დანიშნულია და კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც დაესწროს § 11.—წევრთ განმეორებითი ცნობა არ გაეგზავნებათ, მხოლოდ გამოცხადდება გაზეთ „ცნობის ფურცელში“.

(ნ. 3—1) მმართველი **ს. ჭ.**

ბებია
ვ. მ. ლიმონი

ცხოვრობს სუდებნის ქუჩაზე, სახლი მირზოევისა, № 34, სადგომი თ. ანდრონიკაშვილისა, საოლქო სასამართლოს რიგზე.

(0—6)

ცინკოგრაფია

წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა

ბანკის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან ხელით ნახატებიდან.

ქ. ბათუმში

იყიდება გაზეთი **„ცნობის ფურცელი“**

სპ. ჭელიძის წიგნის მაღაზიაში, შერემეტიევის ქუჩაზე, ნურიოს ბაზარში, საწოლის პირდაპირ.

(0—19)

საზღვარ-გარედ

საფრანგეთი. ვალდეკ-როსოს სამინისტროს სამსახურიდან გადადგომის შესახებ ფრანგული გაზეთები მოგვითხრობენ შემდეგს:

არჩევნების გათავების მეორე დღეს ვალდეკ-რუსო რესპუბლიკის პრეზიდენტთან მივიდა და გამოუცხადა, რომ მას გადაწყვეტილი აქვს სამსახურიდან გამოსვლა, რადგან ახალ არჩევნებმა განამტკიცა რესპუბლიკელების მდგომარეობა და აღარ არის გარემოება, რომელიც მას ხელს უშლიდა გადამდგარიყო, რაც მისი დიდის ხნის სურვილია. ემილ ლუბემ ბევრი სთხოვა პირველ მინისტრს დარჩენილიყო, მაგრამ ვერას გახდა. მაშინ პრეზიდენტმა სთხოვა ვალდეკ-რუსოს მოეცადნა მას რუსეთიდან დაბრუნებამდე. ვალდეკი დასთანხმა. „გოლუას“ სიტყვით, ვალდეკ-რუსოს გადაწყვეტილებას კავშირი აქვს იმ გარემოებასთან, რომ მისი ამხანაგები მილიერანი და ანდრე აღარ რჩებიან სამინისტროში. „ტაიმს“-ის კორესპონდენტიც ამასვე ამბობს: ვალდეკის ათ ამხანაგიდან, მხოლოდ სამს სურს მინისტრად დარჩენა—ფინანსთა მინისტრს კაიოს, გარეშე საქმეთა მინისტრს დელკასეს და განათლების მინისტრს ლეიგს. დანარჩენები ყველა გამოდის სამსახურიდან: მილიერანს აღარ შეეძლო დარჩენა მინისტრად, რადგან თუ დარჩებოდა, კავშირი უნდა გაეწყვიტა სოციალისტებთან. იუსტიციის მინისტრი მონისი დიდი ხანია უნდა გადამდგარიყო, რადგან მისი მდგომარეობა დიდი ხანია შერყეულია. სამხედრო მინისტრი ანდრე დაიღალა შრომისა და იმ ლანძღვა-გინებისაგან, რომელიც მას ხვდა წილად ამ სამის წლის განმავლობაში. საზღვაო საქმეთა მინისტრს ბევრი მტერი ჰყავს ანტიკლერიკალურ ზომების გამო ფლოტში. მიწად-მოქმედების მინისტრი დიუპუი თავის სურვილის წინააღმდეგ შევიდა სამინისტროში და დიდი ხანია მოწადინებულია თავის კერძო საქმეებს დაუბრუნდეს. წინათ გაზეთებში ის მოსაზრება იყო გამოთქმული, რომ ვალდეკ-რუსო იკისრებს ახალ სამინისტროს შედგენასო. ეხლა კი ამბობენ, რომ ეს შეუძლებელია და ვალდეკის გადადგომა საბოლოოა. რაკი ამაში დარწმუნდნენ, ახალ კომბინაციების ძებნას შეუდგნენ. მაგრამ სარწმუნო ჯერ არც ერთი არ გამოუნახავთ.

სხვათა შორის, „ტაიმს“-ის კორესპონდენტის სიტყვით, გავლენიან წრეებში ხმა დადის, ვითომც მილიერანი ინდო-ჩინეთის გუბერნატორად ინიშნებოდეს.

გერმანია და რუსეთი. ამ რამდენიმე ხნის წინად გრაფ ვალდერზეს (ყოფილი სარდალი შეერთებულ ჯარებისა ჩინეთში) საყურადღებო საუბარი ჰქონია ერთ პუბლიცისტთან. ეს საუბარი საყურადღებო იმით არის, რომ კარგად ჰხატავს გერმანიისა და რუსეთის ნამდვილ ურთიერთობას. „ჩვენი ქვეყნის (გერმანიის) მშვიდობიანობაო, უთქვას ვალდერზეს, უზრუნველ-ყოფილია დიდის ხნისათვისო. რუსეთი, რომელიც რამდენიმე წლის წინად სრულებით დამოუკიდებელი იყო ჩვენგან, ეხლა იძულებულია კარგად მოუაროს ჩვენ ძვირფას მეგობრობას! ჩვენ ეხლა მისი განმკარგულებლები ვართ, რადგან ომი იაპონიასა და რუსეთ შორის აუცილებელი არისო.“

გერმანული გაზეთები მეტად კმაყოფილი არიან საქმეების ასეთის მდგომარეობით: სანამ რუსეთი თავისუფალი იყო, გერმანიას აფიქრებდა რუს-ფრანგთა კავშირი, ეხლა კი მდგომარეობა სრულებით შეიცვალა, რადგან რუსეთის ეხლანდელ საზღვრებს შორ-აღმოსავლეთში ემუქრებიან ინგლის-იაპონიის შეერთებული ძალა და ამერიკის შეერთებული შტატები.

ვალდერზეს საუბრის გამო „ნოვოე ვრემია“ ამბობს: „ფელდ-მარშალ ვალდერზეს ნალაპარაკევი, რასაკვირველია, საყურადღებოა ყველასათვის, მაგრამ მაინც შესაძლებელი იყო გვეფიქრა, რომ გრაფი სცდება, რადგან საზოგადოდ ადამიანის თვისებაა ირწმუნოს ისეთ რამის განხორციელება, რაც მას თვითონ ჰსურს. მაგრამ აი მოწმობა ისეთის კაცისა, რომლის მეგობრული გრძნობა რუსეთისადმი ეჭვს გარეშეა. ახალგაზდა ნიჭიერი ფრანგი მწერალი, რომელიც ეხლა რუსეთში იმყოფება, მეტად გაოცებული და შეწუხებული იყო პრუსიელ ფელდ-მარშლის ცინიკურ გულ-ახდილობის გამო და ერთხელ საუზმის დროს მას უკითხავს ცნობილ პოლკოვნიკ მარშანისათვის, თუ რას ჰფიქრობს იგი რუსეთისა და იაპონიის შეტაკების მოსალოდნელობაზე. მარშანს უპასუხებია, რომ „საუბედუროდ ასეთი შეტაკება ძალიან ადვილად შესაძლებელია და რომ ეს შეტაკება მეტად სასარგებლო იქნება „მესამე პირებისათვის.“

განა საჭიროა რაიმე კომენტარია ზემოდმოთხრობილისათვის? ყოველივე დამატება შეასუსტებდა ფაქტების მჭევრმეტყველებას. „აი რა ნაყოფი მოგვიტანა შორ-აღმოსავლეთში დათესილმა რამდენიმე ას-მილიონმა!“ ათავებს გამწარებული რუსული გაზეთი, რომელიც, როგორც არა ერთხელ გვქონდა აღნიშნული, საერთაშორისო კითხვებში მეტწილად მთავრობის აზრს იმეორებს.

სამხრეთ-აფრიკა. „დეილი ტელეგრაფი“ შემდეგ ცნობებს იტყობინება ზავის პირველ მოლაპარაკების შესახებ: „შტეინმა, დევეტმა და დელარეიმ შეუძლებელი პირობები წარმოადგინეს. ბოტა, შალკ-ბურგერი და ლუკა მეიერი, პირიქით, მოწადინებული არიან ზავი ჩამოაგდონ, რაც უნდა დაჯდეს.

ბურების სარდლები ზრდილობიანად იქცეოდნენ, მაგრამ თან ცოტას ლაპარაკობდნენ და უფლისწულს იშვის თვალით უცქეროდნენ. მგზავრობის დროს ცოტას კითხულობდნენ, უფრო ერთმანერთს ებაასებოდნენ და თამბაქოს ეწეოდნენ. შტეინს ყველაზე უფრო უბედური გამოხედულობა ჰქონდა. იგი ნერვებ აშლილი და აღელვებული იყო. შტეინს მეტად აწუხებს თვალების ტკივილი. რამდენჯერმე ექიმი იყო მოწვეული.

პრეტორიაში ყველას შესაფერი სადგომი მისცეს და საპატიო დარაჯი მიუჩინეს. ბურებს ნება ჰქონდათ ენახათ, ვინც უნდოდათ და წასულიყვნენ, სადაც უნდოდათ, მაგრამ ინგლისელ ოფიცრის თანხლებით. გარდა ამისა მათ არ უნდა ელაპარაკნათ არც პოლიტიკაზე და არც ომზე. დელარეიმ ინახულა თავისი ქალი, რომელიც პრეტორიაში სცხოვრობს.

ბურები თხოულობდნენ: სამოქალაქო თვითმმართველობა; ყოველ-ადმინისტრატიულ საბჭოში (თვით-მმართველობის შემოღებამდე) უმრავლესობა ბურები უნდა იქნენ; საკუთარი დროშა; ინგლისელ ჯარების გაყვანა ხუთის წლის განმავლობაში; დამოუკიდებლობა (ავტონომია?); ინგლისურ და ჰოლანდიურ ენების თანასწორობა; საერთო ამნისტია.

ლორდ კიტჩენერმა ფრთხილად შენიშნა, რომ ამგვარი პირობების მიღება ყოვლად შეუძლებელია. ხანგრძლივ მოლაპარაკების შემდეგ ბურები თანდათან უთმობდნენ კიტჩენერს. ბოლოს, როგორც იქმნა შეთანხმდნენ. მიღებული იქმნა ინგლისის პირობები: ამნისტია, დატყვევებულების დაუყოვნებელი დაბრუნება, მეტროპოლიის (ინგლისის) დანიშნული მთავრობა და შემდეგ პარლამენტი, ორივე ენის თანასწორობა, დანგრეულ ფერმების აღდგენა, სანადირო იარაღის ტარების ნება, კაფრებს საარჩევნო უფლება არ ექნებათ.

18 აპრილს ბურების სარდლებმა მიიღეს ეს პირობები და წავიდნენ თავიანთ ჯარებთან მოსალაპარაკებლად“.

სენ-პიერის კატასტროფა. რვა მაისის (ახალი სტილი) საშინელ უბედურების დროს

დადუმულა დაგომეის (საფრანგეთის ახალშენია აფრიკაში) მეფე ბეგანზინი, რომელიც საფრანგეთის მთავრობამ იქ გაგზავნა 1894 წელს. ბეგანზინი 1890 წელს ავიდა დაგომეის ტახტზე და სთხოვა საფრანგეთის მაშინდელ პრეზიდენტს კარნოს ზავის ჩამოგდება. მაგრამ საფრანგეთის მთავრობას არა სწამდა-რა მეფისა, რადგან რამდენჯერმე სცდილა მოესპო დაგომეიში მონებით ვაჭრობა და სხვა ბარბაროსობა, მაგრამ არა გაუვიდა-რა. ბეგანზინის ტახტზე ასვლის წელსავე პარლამენტმა 3.000.000 ფრანკი გადასდო დაგომეის ექსპედიციისათვის და პოლკოვნიკ დედსმა საშინლად დაამარცხა დაგომელები. ბეგანზინმა გამარჯვებულების თვალწინ ცეცხლი წაუკიდა თავის სატახტო ქალაქს აბომეას და გაიქცა თავის მხლებელ ამაზონელებთან (ცხენოსანი ჯარი შეიარაღებულ ქალებისა) ერთად. დაგომეის მეფემ მანიფესტითაც-კი მიჰმართა „ყველა ხალხებს“ და თხოულობდა დახმარებას საფრანგეთის წინააღმდეგ. დატყვევებული ბეგანზინი მარტინიკის კუნძულზე გაგზავნეს საცხოვრებლად და იქ დაიღუპა ვოლკანის საშინელ ამოხეთქის დროს.

ახალი ამბავი

◆ ხვალ, 18 მაისს, დილის თერთმეტ საათზე აკურთხებენ ტფილისის საქალებო წმ. ნინოს სასწავლებლის **საავადმყოფოს ახალ შენობას**, რომელიც ააშენეს სასწავლებლის ეზოში. კურთხევის შემდეგ მთავარ-მართებლის სასახლეში გაიმართება საუზმე, რომელსაც შესთავაზებს მოწვეულთ ქალთა საქველმოქმედო წმ. ნინოს საზოგადოების თავმჯდომარე.

◆ ქალაქის საბჭოს ხმოსნებმა ა. ბაბოვმა, ნ. გრიქუროვმა, ი. სულხანოვმა და ი. თაიროვმა ამ დღეებში განცხადება შეიტანეს ქალაქის თავის მოადგილესთან მაზედ, რომ საბჭომ აღძრას შუამდგომლობა მიწად-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს წინაშე—**დაეთმოს ქალაქს მუშტაიდის ბაღის** ნაწილი, რომელიც არ უჭირავს კავკასიის სააბრეშუმო სადგურის შენობებს და თუთის ხეებს, რათა ეს ნაწილი ქალაქმა გაწმინდოს და გაასუფთაოს და მოაწყოს სასეირნო ადგილად მცხოვრებთათვის. უკეთუ ამ ადგილს დაუთმობენ ქალაქს, მაშინ ქალაქი ითავებს, რომ ყველა ხეივნები ყოველ დღეს ირწყებოდეს, ყოველ საღამოს განათებული იყოს და მუდამ სუფთად ინახებოდეს.

◆ დღეს, 17 მაისს, საღამოს 8 საათზედ, სხდომა ექნება **შეუძლებელ სწავლულთა დამხმარებელ** საზოგადოების გამგეობას. მან, სხვათა შორის, უნდა გადასწყვიტოს საკითხი, თუ როდის დაინიშნოს წევრთა საზოგადო კრება გამგეობის ერთის წევრისა, გამგეობის წევრთა კანდიდატებისა და სარევიზიო კომისიის წევრთა და მათ კანდიდატების ამოსარჩევად.

◆ ხუთშაბათს, 23 მაისს, ტფილისის **სამოსამართლო პალატის სესია** გაემგზავრება ქ. ბათუმში, სადაც მას 24 მაისს განსახილველად აქვს რამდენიმე სისხლის სამართლის საქმე. სამოსამართლო პალატის სესსია 26 მაისს მივა ქუთაისში, სადაც 27 მაისს, სხვათა შორის, განსახილველია ქუთაისის პოლიცმეისტრად ნამყოფის კონსტანტინე სვინოვის საქმე.

◆ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს კავკასიის რწმუნებულის ბ-ნ მედვედიევის განკარგულებით, თავ. ერისთვისეულ ოძისის მამულის მმართველად დაინიშნა აგრონომი ბ-ნი შულჟენკო.

◆ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა საზოგადო კრების დადგენილების თანახმად, საზოგადოების საბჭო ამზადებს და ახლო მომავალში წარუდგენს უმაღლეს მთავრობას შუამდგომლობას იმის შესახებ, რომ, თანახმად ინჟინერ მეიერის მიერ შემუშავებულ გეგმისა, გადადებულ იქნას საჭირო თანხა **მუღანლოს მინდვრების** მოსარწყავად.

◆ ტფილისის გუბერნატორის შეკითხვაზე, როდის არის განზრახული **საქალაქო არჩევნების** მოხდენაო, ტფილისის საქალაქო გამგეობას უპასუხნია, რომ უმჯობესი იქნება არჩევნები 14-სა და 15-ს ენკენისთვეს მოხდესო, ხოლო სიები ეხლა გამოცხადდეს იმ სახით, როგორც შედგენილიაო.

◆ ეგრედ წოდებულ „დვორცოვი ნომრების» პარტიას გადაუწყვეტია თავისი კანდიდატები ხმოსნობაზე **მეორე საარჩევნო ნაწილში** დაასახელოს და ამიტომ შესდგომია შეთანხმებას ამ ნაწილის ამომრჩეველთა კომიტეტთან.

◆ ადგილობრივ რუსულ გაზეთებს პეტერბურგიდან ატყობინებენ, რომ ბორჩალოს მაზრის უფროსად ყოფილი **არნოლდი**, რომელსაც ტფ. სამოსამ. პალატამ, სამსახურის დროს სხვა-და-სხვა დანაშაულობათა ჩადენისათვის, დაპატიმრება გადაუწყვიტა, სენატს გაუმართლებია.

◆ დღეს, 17 მაისს, საღამოს 8 საათზე, ქალაქის გამგეობის დარბაზში დანიშნულია სხდომა ტფილისის ცხენის რკინის გზის მეთვალყურე საბჭოს კომისიისა.

◆ 12 მაისის „ცნ. ფურც.“-ში მოკლედ იყო მოხსენებული, რომ ვინმე დარჩიაშვილმა 10 მაისს რამდენიმე ადგას ბებუთით დასჭრა ახალგაზრდა ქალი ნინო ვარსიმთვისა. როგორც გვატყობინებენ, საქმე ამ ნაირად ყოფილა: ხსენებული ნინო ვარსიმთვისა სწავლობს ტფილისის პროფესიონალურ სასწავლებელში. დილაზე, ჩვეულებრივ, სასწავლებელში წასულა. ტრამვაის ვაგონში რომ ჩამჯდარა, დაუნახავს, რომ იმავე ვაგონში ჩაჯდა იმათ სახლთან ახლო, სარდაფში, მოსამსახურე ბიჭი დარჩიაშვილიც. ამ გარემოებისთვის ყმაწვილ ქალს ყურადღება არ მიუქცევია, რადგანაც პირადი ცნობა სამიკიტნოში მოსამსახურე ბიჭისა არასოდეს არა ჰქონია. როდესაც ვაგონი სამხედრო საპყრობილეს მიუახლოვდა, ნინო ვარსიმთვისა ვაგონიდან გადმოხტა და ჩაუხვია ბარონის ქუჩაზე, სადაც პროფესიონალური სასწავლებელი იმყოფება. გადახტა დარჩიაშვილიც და უკან გაჰყვა ქალს. ის იყო ახალგაზრდა ქალი სკოლაში შესვლას აპირებდა, რომ დარჩიაშვილმა მას მკლავში ხელი სტაცა და უთხრა: „გაჩერდი, ჩემთან უნდა წამოხვიდეთ“! „რა ნება გაქვთ, რომ ხელსა მკიდებთ... მე თქვენ ვერ გიცნობთ!.. მომცილდით!“ უთხრა ქალმა უცნაურსა და უზრდელ მოარშიყეს, გამოუსხლტა ხელიდან და შეშინებული სასწავლებელში შევარდა. ორ საათამდის ნინო სკოლაში იყო; ორ საათზე სკოლიდან გამოვიდა ორი თავის ამხანაგით და სახლისაკენ გაემგზავრა. ავჭალის ქუჩამდის ისე მივიდნენ, რომ ზემოხსენებული დარჩიაშვილი არ უნახავთ; ავჭალის ქუჩაზე კი ის ხელ-ახლავ გამოჩნდა. ერთ ხანს დარჩიაშვილი შორი ახლოს მისდევდა ქალებს, მაგრამ მალე სადღაც გადაუხვია და დაიმალა. ამ დროს ნინოს ამხანაგები თავ-თავიანთ სახლებს მიუახლოვდნენ. გამოემშვიდობენ მას და წავიდნენ. დარჩა საბრალო ქალი მარტო. დარჩიაშვილიც, ალბათ, ამას ელოდა; უეცრად გამოჩნდა, მიუახლოვდა ქალს და უთხრა: „გაჩერდი, ერთი იქით გადაუხვიეთ!.“ თავ ზარი დაეცა საწყალ ნინოს, მაგრამ ძალ-ღონე შემოიკრიბა და სახლისაკენ გაიქცა; დარჩიაშვილმა თავი მაინც არ დაანება; გამოუდგა, დაეწია და გამხეცებულმა რამდენჯერმე ჩასჭრა ბებუთი; უკანასკნელად ბებუთი ფერდში ჩასჭრა და შიგ მიატოვა. ღონე მიხდილი ქალი ძირს დაეცა. სისხლისაგან იცლებოდა საწყალი. როდესაც ქალი წაიქცა, დარჩიაშვილმა ეს სიტყვები უთხრა თურმე: „ხომ მოგკალი“! აი, როგორ იყო ეს მხეცური ბოროტ-მოქმედება, გასაკვირველი ის არის, რომ ქალი არ იცნობდა. არასოდეს არ გამოლაპარაკებია დარჩიას;შვილ ასე რომ არავითარი გასამართლებელი საბუთი არა აქვს მის პირუტყვობას.

◆ ჩვენ მოგვაწოდეს შემდეგი ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენად გავრცელებულია ტფილისის გუბერნიის ბორჩალოს მაზრაში თვალის ავადმყოფობა: თვალით ავად ყოფილა დმანისის სოფლის საზოგადოებაში 24, ახალშენ ეკატერინოფელდში—5, თრიალეთის ნაწილში—2, ავრაკლისის საზოგადოებაში—15, დემურბულახის საზოგადოებაში—15, ბეშტაშენის საზოგადოებაში—21, აშკალინის საზოგადოებაში—5, გომარეთის საზოგადოებაში—12, ნარდევანის საზოგადოებაში—12, ბაშკიჩეთის საზოგადოებაში—4 და ბარმაქსიძის საზოგადოებაში—25. კარგი იქნება ყურადღება მიექცეს ამ საზოგადოებათ და ამდენ ავადმყოფთა სანახავად გაიგზავნებოდეს სპეციალისტი ექიმი.

◆ ტფილისის საქალაქო სასწავლებელთა ექიმების ცნობებიდან სჩანს, რომ მიმდინარე წლის აპრილის განმავლობაში ქალაქის სასწავლებლებში ავად ყოფილან: წითელათი—1, წითელი ქარით—1, ინფლუენციით—5, ქარებით—2, ციებით—15, ანთებით—46; თვის განმავლობაში ავად გამხდარა სულ 148 ბავშვი.

◆ აპრილის განმავლობაში ტფ. სახელოსნო სასწავლებელსა და ქალაქის სხვა ათს სასწავლებელში სხვა-და-სხვა ავადმყოფობით ყოფილა ავად სულ 222 კაცი.

ამავე თვის განმავლობაში ავლაბრის 1-ლ, მე-2 და მე-3 სკოლებში ავადმყოფი ყოფილა სულ 169.

ვერის პირველსა, მეორე, მესამე და მეოთხე და მამადავითის სკოლაში აპრილის თვის განმავლობაში სხვა-და-სხვა ავადმყოფობით ავად ყოფილა სულ 93 კაცი.

◆ 11 მაისს,ტფ.სამოსამართლო პალატამ ზურაბ გაჩმაზაშვილს, ფარულად არაყის გამოხდისათვის, გარდაუწყვიტა 2 თვით ციხეში დაპატიმრება.

◆ პოლიციის მე-8 ნაწ-ლში, რიყის ქუჩაზე, მოვაჭრეს ალექსანდრე რომანოვს პოლიციაში გამოუცხადებია, რომ მას ნოქარმა ჯანაშვილმა მოჰპარა 500 მანათად ღირებული საქონელი. ჯანაშვილი პოლიციას დაუპატიმრებია, გამოძიება სწარმოებს.

◆ 15 მაისს, პოლიციის მე-2 ნაწილში, მამადავითის მოედანზე მილოვის სახლში მცხოვრებ ფრიდრის ამონის ბინდიდან ვიღაც ბოროტ-განმზრახველს მოუპარავს ნივთებით სავსე ჩემოდანი, სულ 25 მანათის ღირებულობისა. ქურდის ვინაობა არ იციან.

შეცდომის გასწორება: გუშინდელ მეთაურში (მეორე სვეტი, მე-11-ე სტრიქონი ქვემოდან) სწერია: „რადგან ბ. ბ. ცხვედაძემ და თაყაიშვილმა“, უნდა იყოს: „რადგან ბ. ბ. ცხვედაძემ და ყავრიშვილმა“.

ქუთაისის ახალი ამბები

~ ქუთაისის გუბერნიის მეორე მეაბრეშუმეთა ამხანაგობა „კოლხიდა“ თადარიგს უკვე შეუდგა. ამას წინად რომ პარკის საშრობი ფარდული დიდმა ქარმა დააზიანა და ამხანაგობას ოც-და-ათ თუმნამდე ზარალი მისცა, ეხლა შეკეთებას შეუდგნენ. მაცადინეობენ პარკი ბლომად იყიდონ.

ამხანაგობის ახალი თავმჯდომარე ბ-ნი ი. ქუთათელაძე პარკის საქმის მცოდნეა და მასთან დაუღალავი მუშაკიც და, ეჭვი არ არის, აკაცის შრომა ამხანაგობას სარგებლობას მოუტანს. ამ ჟამად ბ-ნი ქუთათელაძე ქუთაისშია და ამხანაგობის საქმეების მოწყობა-მოწესრიგებაშია გართული.

ამხანაგობის საქმე კარგად დატრიალდება, თუ ჩვენმა საზოგადოებამ ცოტა ფხა გამოიჩინა და ფულით დახმარება აღმოუჩინა.

როგორც გვითხრეს, ერთი დაწესებულე-

ფელეტონი

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება

II

სკოლები. პირველ წელს, ვიდრე სკოლების გამართვას შეუდგებოდა, „საზოგადოებამ“ შეკრიბა ცნობები, თუ რა მდგომარეობაში იყო სახალხო განათლება ჩვენში. „საზოგადოებამ“ ძლიერ სამწუხარო ცნობები მიიღო: ტფილისის გუბ. სულ 29 სახალხო სკოლა არსებობდა (1016 მოსწავლით) და ქუთაის. გუბ. 84 სკოლა (2607 მოსწ.): სკოლებს არ ჰქონდათ შესაფერი ბინა—ბავშვები ზოგან ორ არშინზე დაბალ სადგომში მეცადინეობდნენ, ზოგან სკამები არ ჰქონდათ და მიწაზე ან ქვებზე სხდებოდნენ, ზოგან შეშა არ ჰქონდათ და ზამთარში სწავლა შეწყვეტილი იყო; მასწავლებლების უმრავლესობა ძლივს ღებულობდა 200 მან. ჯამაგირს და ამასაც ძლიერ დაგვიანებულად. რადგან „საზოგადოებას“ იმდენი საშუალება არ ჰქონდა, რომ სრულიად საკუთარის ხარჯით გაემართა სკოლები, ამიტომ განიზრახა, თუ სადმე აპირებდნენ სოფელში სკოლის გახსნას, დახმარებოდა მათ ფულით, წიგნებით და სხ. შემწეობით. ჯერ მაზრის უფროსებს მიმართა მისათვის საჭირო ცნობებისათვის, მაგრამ მათგან რომ ვერაფერი გაიგო, მერე თავისი აგენტები გაგზავნა, რომელთაც, სხვათა შორის, უნდა ერჩიათ სოფლელებისათვის სკოლების გახსნა, დახმარებოდნენ სკოლის დაარსების საქმეში. „საზოგადოებამ“ მაზრის მმართველობათ სთხოვა დახმარება აღმოეჩინათ მისის აგენტებისათვის, მაგრამ მაზრის მმართველებმა დახმარება-კი არა, ნებაც არ მისცეს აგენტებს თავიანთი „მინდობილობა შეესრულებინათ და ამის გამო ახალის სკოლების დაფუძნების საქმე შეჰფერხდა“. რადგან სხვა გზა არ იყო, „საზოგადოებამ“ დაადგინა და გამოაცხადა მხოლოდ: ყოველ სოფლის საზოგადოებას, რომელიც სკოლის გახსნას ისურვებს და მის არსებობისათვის 35—40 თუმანს დაიდებს სამუდამო ხარჯსა, „საზოგადოება“ დაეხმარება ამ გვარად—გაუკეთებს სკოლისთვის საჭირო მებელს, სასკოლო სახლის აშენებაში დაეხმარება 15 თუმნით, მოუპოვებს საიმედო მასწავლებელს, ყოველ წლივ შეაწევს 30 მან. წიგნებს და „იკისრებს სკოლის მართვას და სამუდამო გამგეობას“.

1) პირველს წელს „საზოგადოებამ“ გამართა მარტო ერთი სკოლა—ქუთაისის სათავადაზნაურო. ამ სკოლის დაარსება გადასწყვიტეს ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის წევრებმა და გადადვეს ამ საქმისათვის ბანკის შემოსავლიდან 8000 მან. სკოლის გამართვა და გამგეობა თავად-აზნაურობამ მიანდო „წერა-კითხვის საზოგადოებას“. რომ გაეადვილებია ეს მართვა „საზოგადოებამ“ ქუთაისში ამოირჩია სკოლისთვის ადგილობრივი სამზრუნველო (კომიტეტი), რომელიც განაგებს სკოლის მეურნეობას და მხოლოდ სამოსწავლო საქმე არის „საზოგადოების“ გამგეობის ხელში. ქუთაისის სკოლა პირველად შესდგებოდა 4 მოსამზადებელ განყოფილებისაგან, პროგიმნაზიული კლასები გაიხსნა მესამე წლიდან. სწავლება მოსამზადებელ კლასებში „საზოგადოების“ მიერ შემუშავებულის პროგრამით სწარმოებს, მხოლოდ პროგიმნაზიულ კლასებში—სამინისტროს პროგრამით, მასთან საპატიო ადგილი აქვს დათმობილი ქართულს ენას. 1884 წ. სეკტემბერში ძველ სენაკში გაიხსნა ამ სკოლის განყოფილება მოსამზადებელი კლასებით, რომელმაც მალე საკუთარი სახლიც აიშენა (სახლი ააშენა სამეგრელოს თავად-აზნაურობამ). ორსავე სკოლას დღესაც ბანკი ინახავს და მათი არსებობა არ არის დღეს უზრუნველყოფილი. ქუთაისის აზნაურობამ უნდა მიბაძოს ტფილისისას და დაიარსოს იმგვარივე საზოგადოება, როგორიც არსებებს ტფილისში (ტფილ. სათ. აზ. სკოლის პატრონთა განსაკუთრებული საზოგადოება)., საუბედუროდ, ქუთაისში ისიც ვერ მოუხერხებიათ, რომ საკუთარი სახლი აეშენონ სკოლისთვის, როგორც ეს მოახერხეს სენაკში.

2) 1880 წ. 14 ოქტომბერს „საზოგადოებამ“ გახსნა საკუთარის საშუალებით ტფილისის სკოლა, რომელიც ერთის წლის შემდეგ დახურა, რადგან სკოლის მოსწავლეების რიცხვი ძლიერ შემცირდა და თანაც „საზოგადოებას“ სალარიც არა ჰქონდა.

3) ყველაფერზედ დიდი მეცადინეობა და ღვაწლი მიუძღვის „საზოგადოებას“ ბათუმის სკოლის დაარსებაში. ეს სკოლა საპატიო ადგილია მის მოღვაწეობაში. სკოლა გაიხსნა 1881 წ. მარტის 23-ს და პირველ წელს იყო სკოლაში 28 შაგირდი, მათში 11 მაჰმადიანი. პირველ ხანებში სკოლის საქმე ვერ მიდიოდა კარგად და 1882 წ. „საზოგადოების“ კრებაზე აღიძრა ბაასი მის გაუქმებაზედ, „მაგრამ კრების უმრავლესობამ გადასწყვიტა, არამც თუ ბათომის სკოლა გაუქმდეს, არამედ თუ შეიძლება გაიმართოს მეორე სკოლაც სადმე ბათომის მაზრაში“. მართლაც, სკოლის საქმე მალე გამობრუნდა, შაგირდების რიცხვმა იმატა და 1883 წ. იყო 58, მათში მაჰმადიანი 27. „საზოგადოება“ ადრევე შეუდგა სკოლისთვის საკუთარის სახლის აშენებას. მის დახმარებით ქართველ მაჰმადიანებმა სთხოვეს მთავრობას სკოლისთვის ადგილი და თხოვნას ამით ასაბუთებდენ, რომ მათ ჰქონდათ წინად სკოლაც და ადგილიც, რომელიც რუსებმა ჩამოართვეს მათ და დამოჟნად გადააქციეს. ამ თხოვნიდან არაფერი გამოვიდა და სკოლის საქმე კვლავ შეფერხდა: სკოლაში თუმცა ოთხი განყოფილება იყო, მაგრამ შაგირდების რიცხვმა ძლიერ იკლო და 1887 წელს პირველ იანვრისათვის სკოლაში არ იყო არც ერთი მაჰმადიანი. სკოლას-კი ხარჯი ბევრი უნდებოდა (2000 მანეთამდე), მთელი ორი წილი „საზოგადოების“ შემოსავლისა. „საზოგადოება“ საგონებელში ჩავარდა, დაინიშნა განსაკუთრებული კომისია ბათუმის სკოლისათვის საშუალების გამოსანახავად; მოწვეულ იქნა „საზოგადოების“ საგანგებო კრება; საქმე სკოლის გაუქმებაზე მიდგა, მაგრამ გონიერებამ ახლაც გაიმარჯვა, კრებამ ცალკე კომისია დანიშნა, რომელმაც თუმცა კითხვა ისე იყო დაყენებული—ან ბათუმის სკოლა, ან თვითონ „საზოგადოების“ არსებობაო, გადაწყვიტა: არავითარ შემთხვევაში არ დახუროს სკოლა, და სკოლის და-

ბა 20,000 მანეთს დაჰპირებია სესხად. ღმერთმა ხელი მოუმართოთ!

~ ქუთაისის გუბერნატორის სამხედრო კანცელარიის მმართველს ვ. პ. ჩერნოვს, რომელიც ორენბურგში გადაიყვანეს, 10 მაისს გამოსათხოვარი სადილი გაუმართეს. დაესწრნენ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი ბ-ნი სმაგინი, ვიცე გუბერნატორი, ქუთაისის გუბერნ. თავად-აზნაურთა წინამძღოლი ს. ლორთქიფანიძე, ქუთაის. მაზრის თავად-აზნ. წინამძღოლი დ. ნიჟარაძე, ქალაქის თავი დ. ლორთქიფანიძე, საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე ბ-ნი ბოგოროდსკი, ამავე სასამართლოს წევრი ა. ფიფინაშვილი, საპატიო მსაჯული დ. ბაქრაძე, სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს უფროსი გ. ი. ზელენინი და მრავალი სხვა. სადილი გამართული იყო კლუბში და გასტანა სამი საათიდან საღამოს 7 საათამდე და მხიარულადაც ჩაატარეს.

~ ქალაქის გამგეობა აცხადებს, რომ ქუთაისის საბჭოს ხმოსნების ამორჩევა დანიშნულია 9 ივნისს და ამომრჩევლებმა 18 მაისიდან 31 მაისამდე უნდა წარმოადგინონ ბარათებით იმ კანდიდატების სია, რომლებიც მათ ჰსურთ ამოირჩიონ საბჭოს ხმოსნებად 1902—1906 წლისათვის.

18 მაისიდანვე გამგეობა დაუწყებს ბილეთების დარიგებას იმათ, რომელთაც ნება აქვსთ დაესწრონ ხმოსნების ამორჩევას. გამგეობა ჯერ არ აცხადებს, სად უნდა მოხდეს ხმოსნების არჩევა.

~ მეტისმეტი სიბინძურე და უსუფთაობაა საზოგადოდ აქაურს სახაბაზოებში, ანუ როგორც აქ ეძახიან თონეებში. აქაური სახაბაზო ხელმოკლე მუშა ხალხისთვის სწორედ სასტუმროა, ხშირად გვინახავს ზამთარში ხუთი და ათი კაცი თონეზე გადაწოლილი, ზოგიც იმ დაზგაზედაც, სადაც ცომს ჰზელენ.

ან-კი რა ჰქნას საწყალმა მუშა ხალხმა: ქუთაისში იაფ-ფასიანი თავშესაფარი არ არის, სამიკიტნოებში-კი აბაზსა და ექვს შაურს ახდევინებენ ღამის გათევაში. მუშა ხალხს სად შეუძლია ამ ფასის გადახდა? ამიტომაც ესენი ბინას ხშირად თონეებში იკეთებენ, სადაც თონის პატრონი სასყიდელს ღამის გათევაში ახდევინებს 2—3 კაპეიკს; შაურს მაინც არ ასცილდება. ხშირად ესეც მოხდება, რომ მუშა ერთი ორი შაურის პურს გაუსაღებს მეთონეს და სამაგიეროდ ღამეს მუქთად გაათევინებს. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, უსუფთაობას იწვევს.

როგორც იყო ამას ყურადღება მიაქციეს და, თანახმად გუბერნატორის წინადადებისა, ქალაქის გამგეობამ ამ დღეებში სავალდებულო დადგენილება გამოსცა მეთონეების შესახებ: თონის იატაკი უსათუოდ ან ფიცრის უნდა იყოს, ან ცემენტის და ასფალტისა; ჭერი ფიცრისა. თონეს ზემოდან (ცეცხლისაგან მარცხის ასაცილებლად) თუნუქის საფარი უნდა ჰქონდეს გაკეთებული, ქოლგასავით. თონესა და ვარცლს უნდა სუფთა ტილო ჰქონდეს გადაფარებული და სხვა.

რადგან სიტყვამ მოიტანა, იმასაც ვიტყვით, რომ დრო არის ქალაქის გამგეობამ ხელ-მოკლე ხალხისათვის თავშესაფარის გაკეთებაზე იფიქროს. ეს დიდ ხარჯს არ მოითხოვს; დახარჯულსაც მალე დაიბრუნებს და საწყალ მუშა ხალხსაც იაფფასიან ბინას გაუჩენს. რა თქმა უნდა, ამით ათასგვარ სენების გავრცელებასაც ხელს შეუშლის, თორემ ამ უწესობის წყალობით არა მარტო ქალაქში, სოფლადაც-კი ვრცელდება ყოველგვარი სენი.

დაბა-სოფლები

ს. დიმი (ქუთაისის მაზრა): 12 ამა მაისს, დიმის საზოგადოების სამმა სოფელმა—ზედა დიმმა, ქვედა დიმმა და ნერგეთმა, ბაღდათის ორ-კლასიანი სასწავლებლის ზედამხედველის ბ. მემარნიშვილის თაოსნობით და ბაღდათის ნაწილის ბოქაულის ბ. ვაშალომიძის თანადასწრებით დაადგინეს განაჩენი მათთვის ორკლასიანი სასწავლებლის დაარსების შესახებ.

—

ს. ტირძნისი (გორის მაზრა): ამ წლის 9 მაისი უნდა ჩაითვალოს ტირძნისელებისათვის სწორედ ღირს შესანიშნავ დღედ. ამ დღეს, გორის მაზრის სამრევლო საეკლესიო და წერა-კითხვის სკოლების საპატიო მზრუნველის ივანე დავითის ძის სულხანოვის თაოსნობით სოფ. ტირძნისში გაიხსნა ქალთა სკოლა; ეს სკოლა გადმოტანილ იქმნა ტირძნისში სოფელ მეღვრეკისიდან. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბ. სულხანოვის მეცადინეობითვე სოფ. ტირძნისში ამ ჟამად გადაკეთებულია საეკლესიო სამრევლო ორ კლასიანი სკოლის შენობა ს მასწავლებლო კურსით, რომელსაც ამ პატივცემულმა პირმა შესწირა სახნავ სათესი მიწა ცხრა დღიურამდის, გარდა ამისა ადგილი სკოლის შენობისათვის ეზოთი და ვენახ-ბაღით. აი ამ მხნე მუშაკის მეცადინეობით, როგორც ზევით ვსთქვით, ცხრა მაისს გაიხსნა ქალების სკოლა. ამ დღეს დილიდანვე დაიწყეს პატარა ქალებმა მოსვლა სკოლაში და როდესაც დაჰკრეს წირვის ზარი, ეკლესიისაკენ გაემართნენ ორ-კლასიანი სკოლის მოწაფენი, რიგ რიგად ჩამწკრივებულნი თავიანთის მასწავლებლებით და ამათ მიჰყვნენ ქალთა სკოლის ახალი მოწაფეები, რიცხვით 50-მდე მასწავლებელ ქალის ქ. კობიაშვილის მეთაურობით. წირვაზე მშვენიერად გალობდა ახლად შემდგარი ხორო, ორ-კლასიანი სამასწავლებლო სკოლის გალობის მასწავლებლის ივანე ვასილისძე ხანდამოვის ლოტბარობით. წირვის შემდეგ მასწავლებელნი და მოსწავლენი ორივე სკოლისა, საპატიო მზრუნველის სულხანოვის მეთაურობით, გალობით გაემგზავრნენ ქალთა სკოლის სადგომში, სადაც, მრავალ აზნაურთა და გლეხთა თანადასწრებით, გარდახდილ იქმნა პარაკლისი. ვუსურვოთ წარმატება ქალთა სკოლას ჩვენის ხალხის საბედნიეროდ.

წერილი ალაგირიდან

(მკითხაობა.—სანიტარული მდგომარეობა.—ადგილობრივი ინციდენტი.—წვრილი ამბავი.—)

აქაური ქართველები თავიანთ მკითხავებს არ სჯერდებიან და ბევრჯელ მიჰმართავენ ხოლმე მახლობელ მაჰმადიან ოსების სოფლებში მოლებს რჩევა-დარიგებისათვის.

მეტად გავრცელდა ამ ბოლო დროს მოლების ექიმბაშობა. ყოველ კუთხიდან იკრიბებიან მოლების სახლებში სამკითხაოდ და წამლებისთვის და ხან-და-ხან სახლშიც მიჰყავთ ვითომ და ავადმყოფების გასასინჯად. ალაგირში, სადაც ექიმი და რამდენიმე ფერშალია, ხალხი გაურბის ამათ და მოჰყავთ ავადმყოფების სასინჯად მოლა—ექიმბაშები. მე თვითონ ვიყავი მოწამე იმ უბედურის შემთხვევისა, რომელიც მოჰყვება ხოლმე ექიმბაშების წამლობას; მრავალი ავადმყოფი გამოასალმეს მათ წუთი-სოფელს, მაგრამ ხალხს მაინც ძლიერ სწამს ისინი.

ამას წინად აქ მოიყვანეს ჩერქეზეთიდან ერთი მოლა, ხალხის სიტყვით, განთქმული მკითხაობით და ექიმობით; ისე დაატარეს სოფელში კარიდან-კარზედ, ასე გეგონებოდათ მღვდელი დაჰყავთ სახლის გასანათლებლადო. დაასინჯიეს ავადმყოფები.

სხვათა შორის, მე ვიცი სამი ავადმყოფი, რომელიც ხსენებულმა მოლამ ნახა და წამალი დაუტოვა; ერთი ამ დღეებში გამოესალმა წუთისოფელს და ორიც ეხლა სასიკვდილოდ არიან...

ალაგირი თუმცა სოფელია, მაგრამ თავის სიდიდით და მოძრაობით არ ჩამოუვარდება ზოგიერთს ქალაქებს. სხვა სიკეთეს გარდა, ისეთი უსუფთაობა ჰსუფევს ამ სოფელში, მეტადრე ოსებისა და ქართველების უბნებში, რომ იქ გავლაც მეტად სამძიმოა, ისეთი მყრალი სუნი სდგას; ყოველს ფეხის გადადგმაზედ შეხვდებით ნეხვის და უსუფთაობის „გორას“. თუმცა გაწმენდა და ნაგვის გადატანა აქ უფრო ადვილია, ვიდრე სხვაგან, რადგანაც ისეთი გლეხი არ მოიპოვება, რომ ერთი უღელი ხარ-კამეჩი, ან სამუშაო ცხენი არ ჰყავდეს, მაგრამ ისინი დღემდე წუმპეში და უსუფთაობის მორევში იხრჩობიან. საჭიროა ამ გარემოებას მიექცეს ყურადღება და გაუმჯობესდეს აქაური სანიტარული მდგომარეობა თორემ ავადმყოფობა გავრცელდება და ხალხს „მოლა-მკითხავები“ ვეღარ უშველიან.

დიდ-მარხვის მეხუთე კვირაში, როგორც ამას წინად გვქონდა მოხსენებული გაზეთ „ცნ. ფურცელ“-ში, კავკავის ეპისკოპოსის ვლადიმერის განკარგულებით აქაურს ეკლესიაში წირვის ასასრულებლად გამოგზავნილი იყო მღ. ნესტორ ბაკურაძე. მღვდელ-მთავრის გადაწყვეტილებამ ზოგიერთები გააწიწმატა, ალმაცერად და გულგრილად მიეგებნენ მას. მათ შორის მთავარი როლი დაიჭირა, სამწუხაროდ, ადგილობრივმა მღვდელმა კარაევმა, შთამომავლობით ოსმა.

მან ეს განკარგულება თავისს შეურაცხყოფად ჩასთვალა: „ეს ოცდა-ათი წელიწადია აქა ვარ, ასეთი გადაწყვეტილება ჯერ აქ ამის მეტი არ ყოფილა და ეს, ალბად, რამე ცუდი ნიშანიაო“. მ. ბაკურაძე რომ მოვიდა დანიშნულს კვირაში, ხსენებულს მღვდელს კარების გაღებაც არ უნდოდა, თუმცა ეპისკოპოსის კანცელარიამ რამდენიმე დღით წინ აცნობა მას; ბოლოს, როგორც იყო, დავითანხმეთ. გარდა ამისა, ამ კვირაში გაახსენდათ ეკლესიის ფანჯრების და კარების შეკეთება, და წირვა—ლოცვის დროს ჩაქუჩისა და ცულის რახა—რუხის გამო მართლ-მადიდებელ მაზიარებლებს არაფერი არ ესმოდათ.

იმ კვირაში, გარდა ქართველებისა, დადიოდნენ საზიარებლად რამდენიმე რუსიც; ეს რომ ადგილობრივმა მღვდელმა შენიშნა, აუკრძალა მათ ეკლესიაში სიარული, აღსარების დროს ერთი რუსი კიდეც გამოაგდო ეკლესიიდან—მერე ეზიარეო. მღვდელი კარაევი იქამდის გაკადნიერდა, რომ პარასკევს, აღსარების შემდეგ, გამოუცხადა მ. ბაკურაძეს: შენ ნება გაქვს აწი სახლში წასვლისა და ხალხი მე უნდა ვაზიაროვო.

ეს შეურაცხყოფად ჩასთვალა ქართველმა საზოგადოებამ და მაშინვე დეპეშით აცნობეს ადგილობრივი მღვდლის მოქმედება ყოვლად სამღვდელო ვლადიმერს. მათმა მეუფებამ გვიპასუხა დეპეშითვე: „მე ერთი კვირით გამოვგზავნე ქართველი მღვდელი და ვინ არღვევს ჩემს განკარგულებასაო“... ამნაირად, როგორც იყო, ვეღირსეთ ქართველი მღვდლის ხელით ზიარებას.

მღ. კარაევის ასეთო უკანონო საქციელზე შემდეგ მ. ბაკურაძემ რაპორტით შეატყობინა ყოვლად სამღვდელო ვლადიმერს. მათმა მეუფებამ დიდი საყვედური გამოუცხადა კარაევს.

პ. ლ—მე

უცხოეთის წვრილი ამბები

—

ხიდის ჩანგრევა. სამხრეთ ამერიკაში, პერუს პროვინციაში ჩამოდის ერთი მდინარე, სახელად მარაკოკ. ეს მდინარე ძალიან დიდია და ამასთან მეტის მეტი ჩქარი და ვიცმაცი. ერთ ალაგს, კლდეებს შუა, ძალიან ვიწროთ მოდის, ეს ადგილი ამოირჩიეს ხიდის გასაკეთებლად და საქმე ერთ ფრანგ ინჟენერს მიანდეს. ინჟენერმა ორივე ნაპირს კლდეები გახვრიტა, რომლებშიაც გაბმული ჯაჭვის თავები დაამაგრა; ხოლო ამ გაბმულ ჯაჭვებზე ხიდი ჩამოჰკიდა.

თებერვალში ხიდი დასრულებული იყო და იმის კურთხევის დღეც დანიშნეს, რის გამოც ახლო-მახლო მიდამოებიდან დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი.

სახმარებლად მოუწოდა თვითონ ბათუმელებს: ბათუმში დაარსდა სკოლისთვის მზრუნველი კომიტეტი, რომელმაც მალე გამოიჩინა ნაყოფიერება და ზურგი გაუმაგრა სკოლას. დღეს ამ კომიტეტის შემწეობით ბათუმის სკოლას თავისი საკუთარი მშვენიერი სახლი აქვს, მის შესანახავ ფულს კომიტეტი აგროვებს; როგორც პედაგოგიურ, ისე სხვა მხრივ სკოლა საუკეთესოდ არის დაყენებული. 1898 წ. 1 იანვრისათვის სკოლაში ყოფილა 101 მოწაფე, მათში 20 მაჰმადიანი, 1900 წ. დამდეგს—159 მოწ. მათში მაჰმ. 26, 1901—2 სამოსწავლო წლის დამდეგს —216 მოწ., დამლევს —207 მოწაფე, მათში მაჰმადიანი 7. ბათუმის სკოლა უმთავრესად ქართველ მაჰმადიანებისათვის არის დაარსებული და უნდა ვეცადოთ მათის შვილების რიცხვმა იმატოს და არა იკლოს სკოლაში.

4 მესამე წელს „საზოგადოებამ“ 4 სოფლისაგან მიიღო განჩინება სოფლის სკოლის გახსნის თაობაზე; სოფლები იღებდნენ საჭირო ხარჯს და თხოვდნენ „საზოგადოებას“ სკოლების მართვა-გამგეობას. სახალხო სკოლების დირექცია არ დასთანხმდა, რომ ეს სკოლები გახსნილიყო და ყოფილიყო „საზოგადოების“ გამგებლობაში, რადგან „საზოგადოების“ სასწავლო პლანი არ ეთანხმება იმ პლანს, რომელიც შემუშავებულია მზრუნველისაგან და რომელიც ეწინააღმდეგება „საზოგადოების“ წესდების მე-3 მუხლს.*) „საზოგადოებამ“ მაინც გახსნა ერთი ამ სოფლის სკოლათაგანი—წინარეხისა. დირექცია დაემუქრა ძალად დახურვას; სკოლა მართლაც დაკეტილ იქმნა და გაიხსნა ხელ-ახლად რამდენისამე თვის შემდეგ. ამ სკოლის შესანახ ხარჯს უმთავრესად სწევს სოფლის საზოგადოება. ამავე პირობით გაიხსნა თონეთის სკოლაც 1883 წელს. 1901 წ. დამდეგს წინარეხის სკოლაში იყო 2 განყოფილება და 82 მოწაფე (54 ქ. და 28 ვაჟი), თონეთისაში—3 განყოფილება და 82 მოწაფე (36 ქ. და 46 ვ.) 1884 წ. დაარსდა „საზოგადოების“ ხელთუბნის სკოლა. გადაწყვეტითი ცნობები არ გვაქვს, მაგრამ ეს სკოლაც იმგვარადვე უნდა იყოს დაარსებული: სოფელმა ააშენა სახლი, შეიძინა მამული, სოფელი იხდის უმთავრეს ხარჯს. 1901 წ. დამლევს სკოლაში ყოფილა 3 განყოფილება და 36 მოწაფე (21 ქალი და 15 ვ.). სხვა სოფლებმაც მიმართეს „საზოგადოებას“ სკოლების გახსნის შესახებ, მაგრამ საქმის განხორციელებას ხელი შეუშალა სასკოლო დირექციამ. უნდა აღვნიშნოთ აქ ისიც, რომ პირველად საზოგადოება“ თვითონ ურიგებდა ჯამაგირებს თავის მასწავლებელთ მიუხედავად იმისა, თუ როდის მიიღებდა ფულს სოფლის საზოგადოებათაგან; შემდეგ კი დირექციამ თავისთვის მოითხოვა ჯამაგირის დარიგების საქმე, ახლა იგი მასწავლებელს ფულს აძლევს იმის მიხედვით, შემოვიდა თუ არა სოფლიდან ფული, ეს ხშირად ცუდს მდგომარეობაში აგდებს მასწავლებელთ, რადგან გლეხებს თავის დროზე არ შეაქვთ გადასახადი. 1897 წ. „საზოგადოებამ“ გახსნა კიდევ ერთი ასეთი სასოფლო სკოლა გომარეთში, რომელშიაც 1901 წ. დამდეგს იყო ორი განყოფილება და 40 მოწაფე.

5) 1888 წელს გაიხსნა კავკავის ქართული სკოლა. სკოლის გამართვა მოისურვეს თვითონ კავკაველ ქართველებმა, მათ შეაგროვეს ფული და შეადგინეს სამზრუნველო კომიტეტი. ეს კომიტეტი ინახავს დღესაც სკოლას; 1898 წლიდან სკოლას აქვს საკუთარი სახლი (ქართულ ეკლესიითურთ). 1901 წლის დამდეგს იყო 4 განყოფილება და 165 მოწაფე (47 ქ. და 118 ვაჟი).

ამრიგად 23 წლის განმავლობაში „საზოგადოებას“ გაუხსნია 9 სკოლა, რომელთა რიცხვში საკუთარის მისის მეცადინეობით და მარტო მისის საშუალებით დაარსებულა 2 სკოლა ბათუმის და ტფილისის (რომელიც დღეს გაუქმებულია).

უადგილობისა გამო ჩვენ აქ ვერ შევეხებით სკოლების შინაურ ცხოვრებას, ვიტყვით მხოლოდ გაკვრით, რომ სწავლის საქმე ყველგან ვერ არის სასურველად დაყენებული; ხან-და-ხან წესიერებაც ვერ დაუმყარებია ჩვენ „საზოგადოებას“ თავის სკოლებში, ამისათვის საკმარისია გავიხსენოთ სენაკის და კავკავის სკოლების ისტორია. საჭიროა, „საზოგადოებას“ მუდმივი ცოცხალი კავშირი ჰქონდეს თავის სკოლებთან და არა კანცელარიზმით განაგებდეს საქმეებს.

ჩვენის სოფლის სკოლის შაგირდები ღარიბები არიან; „საზოგადოებამ“ თავიდანვე გაიხადა თავის მოვალეობად დაეხმაროს ყოველთვის ღარიბ სკოლებს წიგნების, სამოსწავლო ნივთების და მებელის გაგზავნით; დღეს „საზოგადოება“ წიგნებით ეხმარება სახალხო ბიბლიოთეკებსაც, დაარსებიდან „საზოგადოებას“ აღმოუჩენია სკოლებისა და ბიბლიოთეკებისათვის 7,000-ზე მეტის მან. დახმარება. კარგი იქნება, „საზოგადოება“ უფრო გააფართოვებდეს წიგნების უფასო დარიგებას, დაარიგებდეს წიგნებს განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც ქართველები არიან თავმოყრილნი სამუშაოდ და მოკლებულნი ყოველგვარ გონებრივ საზრდოს, როგორც შავის ზღვის პირის ქალაქების პორტებში მომუშავენი, მაგალითად. აქვე უნდა მოვიხსენიოთ ისიც, რომ „საზოგადოებას“ პირველ წლებში ჰყავდა თავისი სტიპენდიანტები გორის სამასწავლებლო ინსტიტუტში, რომელთაც შემდეგ უნდა ემსახურნათ „საზოგადოების“ სკოლებში. „საზოგადოება“ ერთხელ ცდილა საკუთარის „საპედაგოგიო კურსების“ დაარსებასაც, მაგრამ მაშინ ეს ვერ მოუხერხებია და მას აქეთ თავის ცდა არ განუმეორებია. მართლაც, დღევანდელს პირობებში ამის განხორციელება შეუძლებელია.

გ'ლამი.

---

*) ამ მუხლის ძალით „საზოგადოების“ სკოლებში დასაწყისი სწავლება სამშობლო ენაზეა.

დანიშნულს საათზე ორივე მხრიდან მრავალი ცხენოსანი მოვიდა დღესასწაულზე დასასწრებლად, გადმოხდენ ცხენებიდან და ხიდზე ავიდნენ. კურთხევა ხიდის შუა ალაგს უნდა მომხდარიყო.

ერთსა და იმავე დროს ას კაცამდენ შედგნენ ხიდზე და ჯერ შუა გულამდის არ მისულიყვნენ, უცბად იგრიალა კლდემ, ჯაჭვმა გამოჰგლიჯა გამაგრებული ადგილი ერთის მხრიდან და ხიდი ჩაეშვა აზვირთებულ მდინარის უფსკრულში; ყველანა თან ჩაიტანა, ვინც ხიდზე იყო. ორიოდე კაცი გადარჩა ცურაობით, სამოცდა ათ კაცზე მეტი კი წყალმა შთანთქა.

* *

ქალაქი სენ-პიერრი. ამ დღეებში, როგორც მკითხველებმა იციან, ცეცხლ—მფრქვევი მთის ამოხეთქის გამო დაიღუპა ქალაქი სენ-პიერრი კუნძულ მარტინიკაზე, რომელიც ფრანგებს ეკუთვნის. ასე აგვიწერს ამ ქალაქს (დაღუპვამდე) ერთი მეზღვაური:

„გემები, რომლებზედაც მე ვემსახურებოდი, ხშირად მიდიოდენ ხოლმე კუნძულ მარტინიკას ნავთსადგურში. ჩვენ იქა ვრჩებოდით სამ დღეს და გემებზე ვუდებდით ბრინჯს, შედებულ რძეს (ალბათ მაწონი სცოდნიათ) და სხვა ბევრნაირ ნივთებს. საქონლის გადმომტანელნი ზანგები იყვნენ.

სენ-პიერრის ზანგები—კეთილი და მხიარული ხალხია; ლაპარაკობენ ფრანგულად. ბავშვები სულ ზღვაში ჰყრიან და ჰყუმპალაობენ, მალ-მალ დაიყურყუმალავებენ ხოლმე..

მე კარგად მახსოვს ერთი პატარა ბიჭი, რომელსაც ერთ-ორ გროშს აჩუქებდნენ, და ის გემის ერთ მხარეს რომ დაიყურყუმალავებდა, მეორე მხარეს ამოჰყოფდა თავს, როგორც იხვი.

გემიდან კარგად ვუყურებდით ხოლმე მონ—პელეს მთას, რომელიც ხან ნისლით იყო მოცული და ხან ფშვინავდა და ოშხივარს უშვებდა. ყველანი ამბობდენ, რომ ეს ცეცხლ-მფრქვევი მთა (ვოლკანი) სრულიად უვნებელია და დიდიხანია, რაც ჩაქრაო. მართლაცა და სულ არა გვანდა საშიშ ალაგას, რადგანაც შენობებით სავსე იყო და თეთრი სახლებით მთლად შეფენილი. ამ ქალაქში ყოველთვის იყიდდით სალათას, კიტრებს, ბოლოკს და ყოველ გვარ მწვანილეულს. ეტყობა, ყველა ეს ამ მთაზე მოჰყავდათ.

ამ ქალაქის მცხოვრებნი მეტის მეტი ღვთის მოყვარენი იყვნენ, ყოველ დილა-საღამოს ეკკლესიაში დადიოდენ. აქ უსაქმობა და სიღარიბე სრულიად არა სჩანდა. ამასთან თითონ ქალაქიც ძალიან ლამაზი იყო. გემებიდან ვხედავდით ეკკლესიებს და სამლოცველოებს თაღებით, კამარებით და გუმბათებით, ამასთან თეთრს, წითელს და ცისფერს სახლის სახურავებს.

მხოლოდ ამ კუნძულზე კვირაობით მცხოვრებლები არ მოდიოდენ ხოლმე ნაპირზე და არ მოჰქონდათ ხილი გასაყიდად, როგორც სხვა კუნძულებზე. სხვაფრივადაც განსხვავდებოდნენ სხვა კუნძულის მცხოვრებთაგან. სახლები აქ შეჯგუფულნი არ იყვნენ; მცხოვრებნიც, ეტყობოდა, ძალიან მოცადინე და მუდამ საქმეში გართულნი იყვნენ. არაფერი გასართობი ადგილი ქალაქში არ იყო და სასმელის დუქნებიც უფრო მაღაზიებსა ჰგავდა.

სენ-პიერრის მრეწველობას შეადგენდა თიხა მიწიდან ანდრიანტების გაკეთება და გამოწვა, აგრეთვე ბევრს მოჰყავნდა ხილეულობა, განსაკუთრებით ფორთოხალი და ბანანი. ეს კუნძული სხვა კუნძულებზე გაცილებით მდიდარი იყო.

დღეს ეს ლამაზი ქალაქი წარმოადგენს უზარმაზარ თბილ—თბილ საზოგადო სამარეს, რომელიც წალამულ—წალეკილია და ამოვსებული ცეცხლმფრქვევი მთის ნაცარ-ტუტით.

სასამართლო

გუშინ, 16 მაისს, ტფ. სამოსამართლო პალატამ, ბ-ნ ფრანცოვის თავმჯდომარეობით გაარჩია საქმე ქ. ქუთაისის მცხოვრებთა ეკატერინე ევნატეს ასულის მეძმარიაშვილისა, და კირილე სიმონის ძის დიდიძისა, რომელთაც ის დანაშაულობა ბრალდებოდათ, რომ მათის ჩაგონებით მათმა მსახურმა ქუთაისის მაზრის სოფ. მესხეთის მცხოვრებმა ალექსანდრე კუხიანიძემ დასწვა მათი სახლი იმ მიზნით, რომ მათ მიეღოთ დასაზღვევი პრემია. დიდიძისა და მეძმარიაშვილების სახლს, ქ. ქუთაისში, ცეცხლი მოჰკიდებია 1894 წელს 27 ივნისს ღამით. ცეცხლის გაჩენის დროს პოლიციას ეჭვი დაჰბადებია, რომ სახლი განგებ უნდა დაეწვათ. გამოძიებით აღმოჩენილა შემდეგი: სახლის პატრონებს როდესაც თავის საკუთარი სახლი დაუზღვევიათ მეძმარიაშვილისა და დიდიძის მეზობლებს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორისათვის უთხოვნიათ, რომ მათს სახლზე დაზღვევა აეხსნათ. როდესაც ერთის მოწმის ლაზარე ბაბუნაშვილისათვის უკითხავსთ თუ რა მიზნით ითხოვეს გუბერნატორისაგან ბრალდებულთა სახლზე დაზღვევის ახსნა, მას განუცხადებია, ეს თხოვნა იმან გამოიწვია, რომ ჩვენ ქუჩაზე არავის სახლი არ ყოფილა დაზღვეული და გვეშინოდა, რადგანაც ვიცით, ქუთაისში სახლებს მიტომ აზღვევენ, რომ დასწვან და შემდეგ პრემია აიღონო. ქუთაისის საურთიერთო დამზღვევ საზოგადოებას ყურადღება მიუქცევია ზოგიერთ სარწმუნო პირების განცხადებისათვის და მეძმარიაშვილისა და დიდიძის სახლი მართლა გამოურიცხავს დაზღვევისაგან. ამის შემდეგ კირილე დიდიძეს მაინც იმდენი უმეცადინებია „ნადეჟდა“-ს აგენტთან, რომ ამ საზოგადოებაში სახლის დაზღვევა მოუხერხებია 3500 მან. ერთის წლის ვადით, თუმცა ექსპერტიზას შემოწმებით ეს სახლი 2300 მანეთზე მეტი არა ღირდა. იმ დროს, როცა აღნიშნულ პირთა სახლი დამწვარა, მაზე ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის ვალი ყოფილა სულ 1300 მან. მოწმების საყვარელიძისა, სოკოლოვისა და ფედოროვის განცხადებით სახლში დაწვის დროს არც ერთი ნივთი არ ყოფილა, თუმცა თვით ბრალდებულთ კი განუცხადებიათ, რომ მათ მრავალი ნივთები დაეწვათ. ცეცხლის გაჩენის დროს მეძმარიაშვილი ბავშვებიანათ და მოსამსახურე კუხიანიძესთან ერთად სოფელში წასულა; საღამოს კუხიანიძე ისევ ქუთაისში დაბრუნებულა, ასე რომ მის მეტი სახლში არავინ არ ყოფილა. პასუხის გებაში მიუციათ მეძმარიაშვილი, დიდიძე და კუხიანიძე; პირველი ორი როგორც წამქეზებელი, ხოლო მესამე როგორც მათი განზრახვის—სახლის დაწვის შემსრულებელი. ბრალდებულთაგან არც ერთს სასამართლოში თავი დამნაშავედ არ გამოუცხადებია და უთქვამთ, რომ ეს ბიჭის უცაბედი შემთხვევაა და მათ აზრადაც არა ჰქონიათ სახლის დაწვა და სხვა. ოლქის სასამართლოს დამნაშავედ უცვნია ყველა ბრალდებულნი და გადაუწყვეტია ეკატერინე მეძმარიაშვილისა და კირილე დიდიძისათვის ყოველივე განსაკუთრებულ უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევა და ენისეის გუბერნიაში სამუდამოდ გადასახლება, ხოლო ალექსანდრე კუხიანიძისათვის 2 წლის ვადით ციხეში დაპატიმრება. ბრალდებულნი არ დათანხმებულან ოლქის სასამართლოს განაჩენზე და საქმე განუსაჩივრებიათ ტფ. სამოსამართლო პალატაში, სადაც მათ გუშინ იცავდა ნაფიცი ვექილი ბ-ნი ჩემესოვი. პალატამ ერთის საათის თათბირის შემდეგ გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც უდანაშაულოდ იცნო ყველა ბრალდებულნი და გაამართლა იგინი.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

15 მაისი

პეტერბურგი. გერმანიის ელჩი გრაფი ალვესლებენი საზღვარ-გარედ წავიდა.—ახლად დანიშნული პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის თანამდებობაზე ლოპუხინი მოვიდა პეტერბურგში.—დღეს გაიყიდა სახელ განთქმული „სახლი ვიაზემსკისა“ 1,400,000 მანეთად.

კიევი. გუშინ საღამოს აფეთქება მოხდა სააფთიაქო საქონლის საწყობში.

კამიშლოვი. აღძრულია შუამდგომლობა საოჯახო-საპედაგოგიო საკრებულოს გახსნის შესახებ.

ხარკოვი. ბელგოროდის მაზრაში დიდს მანძილზე სეტყვა მოვიდა, რომელმაც ნათესები დააზიანა და მატარებლების მიმოსვლა შეაჩერა.

ვარშავა. როგორც ადგილობრივი გაზეთები ამბობენ, ვარშავაში არსდება თამასუქების დამზღვევი საზოგადოება.

ლონდონი. პრეტორიიდან მოსულის ცნობებით, ბალმორალთან ინდოელ ჯარის 81 კაცი დანებდა.

პეშავერი. ქაბულიდან იტყობინებიან, რომ ემირმა უბძანა ციხეში დააპატიმრონ იმისი ძმა მირზა-მაჰმად-უნარ-ხანი, თავის სასახლის მმართველი და მირზა სადდიჰ-ხანი; აზრადა აქვს ოჯახობით გაგზავნოს თურქისტანის საზღვარზე.

ფორტ-დე-ფრანსი. გუშინ ხელახლა იფეთქა ვოლკანმა, ალი ერთი საათის განმავლობაში 150 მეტრის სიმაღლეზე ადიოდა. ქარიშხალი ვოლკანის მიდამოებს არ გასცილებია, მაგრამ ძალიან დაამწუხარა მცხოვრებნი.

ბუდაპეშტი. ავსტრიის დელეგაციამ განაგრძო ბიუჯეტის განხილვას. კრამარჟი ამტკიცებდა, რომ სამთა კავშირი წაქეზების ღირსი არ არის. სახელმწიფოთა უმეტესობა, რომლებიც ხელს უწყობდნენ გერმანიის იმპერიის დაარსებას, ეხლა ნანობს ამას. შემდეგში გერმანიის გადიდებას არც ერთი სახელმწიფო არ მისცემს ნებას და არც აგრეთვე ავსტრია. ვუკოვიჩმა წარმოსთქვა, რომ უფრო მეგობრული ხასიათი მიეცეს რუსეთთან დამოკიდებულებას, ამასთანავე სურვილი გამოსთქვა, რომ ეს განწყობილება წერილობითი შეთანხმების საგნად გარდაიქცეს.

როსტოვი. მოსკოვის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას ქალაქი უთმობს დიდ ადგილს გამოფენისათვის სამუდამო შენობების ასაგებად. სექტემბერში იხსნება პირუტყვთა მოშენების გამოფენა.

ვერხნეუდინსკი. კიახტაში საქონლის ჭირის ნიშნები აღმოჩნდა.

პეტერბურგი. დღეს კეთილშობილთა საკრებულოში წითელის ჯვრის კონფერენციის დელეგატების კრება იყო.—წითელის ჯვრის უმთავრესმა სამმართველომ სამი ათასი მანეთი გაიღო ბობრუისკში დამწვართა დასახმარებლად.—დღეს დიდი მთავარი ალექსი ალექსანდრეს ძე, მთავარ-შტაბის უფროსის თანხლებით, წავიდა კრონშტადტის დიდს ნავთ-სადგურზე. გენერალ-ადმირალს დახვდენ უფროსი პირნი. გენერალ-ადმირალმა დაათვალიერა ახლად აშენებული კრეისერი „ასკოლდ“ და კრეისერი „ნავარინ“—ი, აგრეთვე დაესწრო საარტილერიო სწავლას. გემების დათვალიერების შემდეგ გენერალ—ადმირალი კრეისერ „სვეტლანაზე“ წავიდა.

16 მაისი

ოდესა. გაიხსნა კრება რკინის გზის 50 ექიმისა. 25 მოხსენებაა გასასინჯი. კრება ერთი კვირა გაგრძელდება. კრების წევრნი დაათვალიერებენ სხვა-და-სხვა სამკურნალო დაწესებულებას.

რომი. პალატა. პრინეტტიმ გამოაცხადა, რომ მმართველობას არა ჰსურს შეიძინოს ტერრიტორია ჩინეთში, მაგრამ ეკონომიურ ინტერესების დასაცავად საჭიროა აღმოსავლეთ აზიის წყლებში გვყავდეს სამხედრო გემები.

პარიჟი. მინისტრთა დილის კრებაზე მთელი კაბინეტი შეუერთდა ვალდეკ-რუსსოს გარდაწყვეტილებას სამსახურიდან გამოსვლის შესახებ; კაბინეტის სამსახურიდან გამოსვლა გამოცხადებული იქმნება სამშაბათს, ლუბეს დაბრუნების დღეს. შაბათს ლუბე მონტელიმარში აპირებს წასვლას.

ბუდაპეშტი. გარეშე საქმეთა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვა მიღებულ იქმნა ავსტრიის დელეგაციის მიერ იმის შემდეგ, რაკი გოლუხოვსკიმ უპასუხა სამთა კავშირის დამგმობთ.

ბუხარა. პრინცმა ჰენრიხ რეისმა დაათვალიერა ბუხარისა და კერმინის საყურადღებო ადგილები და გაემგზავრა ბაირამალაში ხელმწიფის მამულის დასათვალიერებლად.

განჯა. განჯაში გაიხსნა სამასწავლებლო კურსები. მონაწილეობას იღებს 70 ქალაქისა და სოფლის მასწავლებელი. კურსების აზრი ის არის, რომ მასწავლებლებმა მიიღონ ცნობები მეაბრეშუმეობისა, ბამბის მოყვანისა და მეფუტკრეობის შესახებ. კურსები 10 ივნისამდე გაგრძელდება.

სოფია. სერბიის ახალმა დიპლომატიურმა აგენტმა მარანკოვიჩმა წარუდგინა მთავარს რწმუნების საბუთები. აგენტმა წარმოსთქვა სიტყვა, რომლითაც გამოხატა უღრმესი პატივისცემა და მეგობრული განწყობილება მეფე ალექსანდრესი მთავრის მიმართ, რჩევა მეფისა, იხმაროს ყოველი ღონე გასაძლიერებლად მეგობრული განწყობილების, რომელიც საჭიროა საზოგადო ინტერესებისათვის. მთავარმა უპასუხა, რომ ყველა მიიღო მხედველობაში, სერბიისა და ბოლგარიის შორის მეგობრობის დასამკვიდრებლად.

პეტერბურგი. საიმპერატორო კაცთმოყვარეობის საზოგადოების დაარსების 100 წლის შესრულების გამო „პრავიტ. ვესტნიკ.“-ში დაბეჭდილია ამ საზოგადოების უფროს მზრუნველის მიტროპოლიტის ანტონისა და საბჭოს წევრის ინფანტერიის გენერალის გეფონოვის სახელზე უმაღლესი რესკრიპტი, ხოლო საზოგადოების სახელზე—უმაღლესი გრამოტა. კაცთ-მოყვარეობის საზოგადოების უფროს მზრუნველის თანაშემწე ტაინი სოვეტნიკი მარკოვიჩი დაინიშნა სტატს-სეკრეტრად.

ამავე საზოგადოების საბჭოს წევრს სენატორს გეფინოვს ებოძა ორდენი წმ. ანდრიასი.

ამავე საზოგადოების უფროსს მზრუნველს მიტროპოლიტს ანტონს ებოძა ორდენი წმ. ალექსანდრე ნეველისა.

გზათა სამინისტრომ მოიწონა ახალი პროექტი ფინლიანდიის რკინის გზის პეტერბურგის სადგურისა; ახლანდელ სადგურს სრულიად დაანგრევენ.

პეტერბურგის ბირჟა 15 მაისს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	94,20
ბერლინზე 100 მარკაში	—
პარიზზე 100 ფრანკში	—
ლონდონზე ჩეკები	94,90
ბერლინზე „	46,30
პარიზზე „	—

ბირჟის დისკონტი	4½—6½%	
4% სახელმწიფო რენტა	96¾	გაყიდ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	98¾	„
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	—	
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა.	—	
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	477	„
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	364¼	„
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	294	„
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—	
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—	
ტფილ. საადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	—	
4½% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—	
ქუთაისის საადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—	
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	177	„

გამომც. და დრ. რედაქტორი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

მუზეი

დაჰყოფს კიდევ 27 მაისამდის, ახლად განახლებული სურათებია და **კატასტროფა შემახაში**; ჰაერში მფრინავი ქალი და კინემატოგრაფი.

(3—318—1) პატივისცემით ფ. ი. ფიც.

მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი „ოდორინი“ მ. ვ. ლებედევისა.

ეს საშუალება რამდენიმე დღეში სპობს სრულებით მაზოლსა და მეჰეჯს ძირიანად. უნდა ჰქონდეს ეტიკეტი, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

ისყიდება ტფილისში—სააფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობის მაღაზიაში და მის განყოფილებებში—ბაქოსა და ბათუმს.

(ნ. 25—5).

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი.	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
დ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო	1	—
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ.	—	80
სოფლის კუნწულა—დ. მაჩხაანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუვე—საბა სულხან ორბელიანისა.	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	30
სამზარეულო—ქართული და ევროპიული საჭმელებისა.	1	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მამად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
ღვინის დაყენება პროფეს. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	50
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა.	—	20

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფასის დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ Грузинское Издательское Товарищество.

Дозволено цензурою Тифлисъ, 16 Мая 1902 года.

ელექტრონით მბეჭდავი სტ.-მბ. წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.